საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ამირან ძაბუნიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი:

თარიღი: 25.11.2016 წ.

<u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის</u>

ამირან ძაბუნიძის

შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს <u>2020 წლის 20 ნოემბრის №1/207 განკარგულების</u> საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი. აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის თანახმად, კანდიდატის საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი კანდიდატს აფასებს ამავე კანონით განსაზღვრული კეთილსინდისირებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლების გათვალისწინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, **<u>ამირან ძაბუნიძის,</u>** შეფასებას საფუძვლად უდევს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით მოძიებული, აგრეთვე, სხვადასხვა უწყებიდან კანდიდატის შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია, მასთან ჩატარებული საჯარო გასაუბრება, ასევე, თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თუ სამართლებრივი დოკუმენტები.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> კანდიდატის შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის თანახმად, ეფუძნება ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, კერძოდ, *<u>პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს; დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას; პიროვნულ და პროფესიულ ქცევას; პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციას; ფინანსურ ვალდებულებას.</u>*

<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:</u>

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **<u>ამირან ძაბუნიძეს</u>** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის სამსახურებრივ თუ სხვა სახის ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. **<u>ამირან ძაბუნიძეს</u>** აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, რაც გულისხმობს, რომ მას არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. შინაგან

საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017-2020 წლებში კანდიდატს არ დაჰკისრებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **ამირან ძაბუნიძე** არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას სამართლებრივ თუ ზოგად საკითხებზე მსჯელობის დროს **ამირან ძაბუნიძემ** გამოავლინა კორექტულობა, თავაზიანობა და თავშეკავებულობა. ის ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ **ამირან ძაბუნიძე** არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ანდა ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. ამდენად, მიმაჩნია, რომ **ამირან ძაბუნიძე** არის პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებელი.

მოცემულ მახასიათებელთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები დადებითად აფასებენ კანდიდატის შეუვალობას, დამოუკიდებლობას, პრინციპულობასა და კეთილსინდისიერებას.

პიროვნული და პროფესიული ქცევა:

აღნიშნული მახასიათებლით **ამირან ძაბუნიძის** შეფასების პროცესში გავითვალისწინე მის მიერ საჯარო მოსმენის მსვლელობისას გამოვლენილი პიროვნული და პროფესიული თვისებები, კანდიდატის რეკომენდატორებისა და კოლეგების მიერ წარმოდგენილი დახასიათებები, აგრეთვე, კანდიდატთან მიმართებით დისციპლინური ანდა სისხლისსამართლებრივი დევნის არსებობის ფაქტი.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას **ამირან ძაბუნიძემ** გამოავლინა თავშეკავებულობა, კორექტულობა და თავაზიანობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა ღიად და გამჭვირვალედ. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი.

კანდიდატის რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები, რომლებიც უთითებენ, რომ კარგად იცნობენ **ამირან ძაბუნიძის** პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას, დადებითად აფასებენ კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს, მათ შორის

გამოარჩევენ, თავმდაბლობას, თავაზიანობას, კოლეგიალობას, სამართლიანობას, საქმისადმი ერთგულებასა და ა.შ.. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **ამირან ძაბუნიძის** მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **ამირან ძაბუნიძე** სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, აგრეთვე, მას ახასიათებს მოსამართლის მაღალი წოდებისათვის შესაფერისი ქცევა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტისა და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ **ამირან ძაბუნიძე** სამართლებრივ დავაში მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და კანდიდატის კოლეგების მიერ შევსებული სპეციალური კითხვარების შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ **ამირან ძაბუნიძე** სარგებლობს კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული კოლეგები კანდიდატის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. ისინი დადებითად აფასებენ მის კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებას. რესპოდენტები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას, გუნდური მუშაობის უნარს, თავმდაბლობას, სამართლიანობას, გონიერებას, საქმისადმი ერთგულებას, შეუვალობას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, გამბედაობასა და ა.შ.. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ მიიჩნევს მის „ზედმეტ თავმდაბლობას". თუმცა, მიმაჩნია, რომ აღნიშნული პიროვნული მახასიათებელი არ წარმოადგენს კანდიდატის მიერ სამოსამართლო საქმიანობის შესრულებისათვის რაიმე ხელისშემშლელ ფაქტორს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში **ამირან ძაბუნიძის** შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილული საქმეების თაობაზე, აგრეთვე, მოსამართლეთა კონფერენციაზე კანდიდატის სადისციპლინო კოლეგიის წევრად არჩევის შესახებ, ამასთან, იძებნება ადვოკატთა ნაწილის შეფასებები **ამირან ძაბუნიძის** საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, მიმაჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ იძლევა კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებსა და დადებით რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

ფინანსური ვალდებულებები:

მოძიებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ **ამირან ძაბუნიძე** კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ

ვალდებულებებს. მას არ ერიცხება რაიმე სახის დავალიანება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ. მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და არ უფიქსირდება რაიმე სახის ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების ფაქტი. ამდენად, მიმაჩნია, რომ არ გამოვლენილა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში დარეგისტრირებულ კანდიდატთა კეთილსინდისიერების შეფასების მიზნით „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითეული მახასიათებლის ანალიზისა და შეჯერების, ასევე, **ამირან ძაბუნიძის** შეფასების შედეგად, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ არ გამოვლენილა კანდიდატის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ **ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატთა **კომპეტენტურობის კრიტერიუმით** შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლით დადგენილი მახასიათებლები, კერძოდ:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერის უნარი;
- ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასების მიზნით გავითვალისწინე საჯარო მოსმენის მსვლელობისას მის მიერ გამოვლენილი ცოდნა, აგრეთვე, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების სამართლებრივი დასაბუთება.

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა იმსჯელა არაერთ ზოგად და სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით. ზოგადი შეფასებით, კანდიდატის მსჯელობა ძირითადად იყო თანმიმდევრული და გასაგები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების

მიერ კანდიდატს დაესვა არაერთი კითხვა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. კანდიდატის მიერ სამართლებრივ საკითხებზე გაცემული პასუხების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ **ამირან ძაბუნიძე** ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მან ნათლად და მეტნაკლებად ამომწურავად ისაუბრა სამოქალაქო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე. თუმცა, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით გარკვეული საკითხები კანდიდატმა სათანადოდ ვერ განავრცო.

კანდიდატის პასუხებისა და მსჯელობის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხთან მიმართებით მისი მსჯელობა იყო ზოგადი და ლაკონური.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, საკუთარი პოზიციისა და აზრის გასამყარებლად კანდიდატს გარკვეულ შემთხვევებში გაუჭირდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გახსენება.

ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სასამართლო განჩინების ანალიზისა და შეჯამების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია დასაბუთების კარგი უნარი, თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად და გასაგებად.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებლის თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საფუძველს, კანდიდატი შეფასდეს - 16-- ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, **ამირან ძაბუნიძეს** აქვს საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით, 11-წლიან სამოსამართლო საქმიანობას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო განჩინების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ მას გააჩნია დასაბუთების კარგი უნარი. ის თავის პოზიციას გადმოსცემს ნათლად, ამასთან, დაცულია მოვლენათა ლოგიკური ჯაჭვი, რაც დოკუმენტს ხდის მხარეთათვის მარტივად აღქმადს და გასაგებს. განჩინების სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

კანდიდატის მიერ განჩინებაში დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი.

ამდენად, მივიჩნევ, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მოცემულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 17-- ქულით.

<u>წერის უნარი:</u>

წერილობით თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, მარტივი და გასაგები ენით. მისი მსჯელობა არის ლოგიკური, განჩინებაში ფაქტები გადმოცემულია თანმიმდევრულად და სრულად. ნორმის შეფარდებისა თუ მისი ინტერპრეტირების დროს გათვალისწინებულია საქმის გარემოებები. დოკუმენტში მკვეთრი გრამატიკული შეცდომები და უზუსტობები არ ფიქსირდება.

შესაბამისად, ვფიქრობ, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 20-- ქულით.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი:</u>

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატი იყო გაწონასწორებული, მშვიდი და თავაზიანი. თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა ღიად და გასაგებად, აზრს გამოხატავდა ნათლად. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა და განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15-- ქულით.

<u>პროფესიული თვისებები:</u>

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და სპეციალური კითხვარების ანალიზისა და მის მიერ გამოვლენილი თვისებების შეჯერების შედეგად, მივიჩნიე, რომ ის არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, ასევე, გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რასაც ადასტურებენ გამოკითხული კოლეგები.

<u>ამირან ძაბუნიძის</u> მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლის შედეგად, დადებითად უნდა შეფასდეს კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტაბილურობა. ხოლო, რაც შეეხება კანდიდატის მიერ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელს, მიმაჩნია, რომ მიზანშეწონილია კანდიდატმა გააუმჯობესოს აღნიშნული მაჩვენებელი, რაც მეტად აისახება მის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მოცემულ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15-- ქულით.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:</u>

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ის საკმაოდ ხშირად ესწრება შესაბამის პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა, რომ მეტნაკლებად ეცნობა სიახლეებს ეროვნულ კანონმდებლობასა და სამოსამართლო პრაქტიკაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი და ის ღია არის სიახლეების მიმართ.

ამდენად, მიმაჩნია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5-- ქულით.

<u>პროფესიული აქტივობა:</u>

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული მიმართულებით, აგრეთვე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. **<u>ამირან ძაბუნიძე</u>** იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

წარმოდგნილი ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს **<u>ამირან ძაბუნიძე</u>** მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად. 2017 წელს კანდიდატი არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად. აგრეთვე, 2019 წლის 5 ოქტომბრიდან **<u>ამირან ძაბუნიძე</u>** არჩეულ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის ამ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - 4-- ქულით.

დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მინიჭებულ ქულათა შეჯამებით, **<u>ამირან ძაბუნიძის</u>** ქულათა ჯამმა შეადგინა --92-- ქულა.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: <u>25 ნოემბერი 2021 წელი</u>

ხელმოწერა: